

უმორისტიკული გაზეთი

შუამავალი

წელიწადი პირველი,

№ 2

კვირა, 22 ივლისი, 1907 წ.

№ 2

კარიკატურებიანი, იუმორისტიკული, გაზეთი „შუამავალი“ გამოდის ყოველ კვირა დღეს. ფასი წლიურათ—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 10 კ. ადრესი: თფილისი, ამხანაგობა „შრომის“ სტამბა. Тиф- лись, Типография Т-ва „Трудъ“. Мих. № 65.

ფასი განცხადებისა პირველ გვერდზე პეტით 30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 20 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება სამუშაოს, პარასკევს და შაბათს დილის 10 საათიდან 12 საათ. და საღამოს 5 საათიდან 7-მდე. ხელმოწერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს. წერილები გარკვევით და ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი.



ქუთაისის ბულვარზე.

თავი და ყვანჩხალა.

(სცენა ქუთაისის ბულვარზე).

მეტის მეტი სიცხისა და მტვრისაგან შეწუხებული ყვანჩხალები ბულვარზე გამოფენილან. მისი კარებთან „თავი“ გაუჩერებიათ და გარს შემოხვევიან. ზოგი მათგანი პატიოსან ცილინდრზე შემჯდარა და ცხარე აგიტაციას ეწევა თავის თანამოქმედებში. „თავი“ თანდათან ცხარდება და უბრძანებს დაიშალენითო, მაგრამ ყვანჩხალები უარს ამბობენ დაშლაზე და „თავაქ“ არ შეგებენ.

თავი—(გაბრაზებით) არ შეიძლება! კანონის ძალით გიბრძანებ დაიშალოთ. მართალია მე პოლიციელი არა ვარ, მაგრამ როგორც ქალაქის თავი და ბატონ-პატრონი ვალდებული ვარ ჩემ ქალაქში დავიცო წესიერება. გიბრძანებთ, გთხოვთ დაიშალოთ სანამ პოლიცია მოვიდოდეს.

(ცილინდრზე მსხდომი შავ პაქიჭე-ბიანი და მოკლე ნისკარტიანი ყვანჩხალა,

გამოვა შუა ცილინდრზე, მოიღერებს კისერს და ხმამაღლა ჩასჩხავის ყურში თავს).
ყვანჩხალა—ბატონო თავო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ფრთოსანთა სახეივანე დან ვართ. ნუ დაგავიწყდებათ, გვაქვს ჩვენი კანონები: თავისუფალი ვილაპარაკოთ, გავმხიბოლოთ ბები და სხვა და არავითარ კანონს არ ვემორჩილებით.
თავი—(ყვირის) ჩუმათ!

არავითარი კრების განართვა არ შეიძლება. მართალია თქვენ ფართოსანთა სამეფოდან ხართ, მაგრამ როცა ჩვენ ტერიტორიაზე გადმოდიხართ თქვენი კანონები უნდა დაივიწყოთ, ნუ დაგავიწყდებათ ძირითად კანონების 87 მუხლი. დაიშალენით!

უფანხა—(სიცილით) არ დავიშლებით; არა და არა! (ყვავებს) ხომ არ დავიშლებით, ამხანაგებო?

უფავუბა—(ერთათ) არა! არა! განაგრძე. თავი—(გაბრაზებით) გიმეორებთ უნდა დაიშალოთ. არ იცით თქვენ, რომ ეხლა აქ სამხედრო წესებია?

უფანხა—(ლიმილით) სამხედრო წესები ვინ ბრძანდება?

თავი—ის ბრძანდება, რომ თუ წესიერებას დაარღვევთ, აი ამ ხეებზე ჩამოგახრჩობთ ყველას.

უფავუბა. (ყველანი იცინიან) მანამ ნურასა სკამ. (თავი დაერევა ყვანჩალებს და ჯონს იქნევს. ყვავები აფრინდებიან, მაგრამ ჩქარა ისევ დააჯდებიან ცილინდრზე და მხრებზე).

უფანხა—(ყვირის) ჩვენ არ გვეშინია არც სამხედრო წესების და არც „ოთხმოცდა შვიდის“, რაკი შევიკრიბეთ უსათუოთ უნდა მოვილაპარაკოთ.

თავი—რაზე უნდა მოილაპარაკოთ ან ვინ დაგავალათ თქვენ აქ კრების გამართვა და მოლაპარაკება?

უფანხა— ჩვენთვის არავის დაუვალდება. ჩვენ თქვენსავით შურითა და მტრობით გაუღენთილი გული არა გვაქვს. ჩვენ ვხედავთ რა მდგომარეობაში არიან ჩვენი მეზობელი ორუგნა ცხოველები და გადავწყვიტეთ, რაკი მათ არ შეუძლიათ დღეს ხმის ამოღება, გამოვესარჩლოთ...

თავი—ტა! ტა! ტა! რა გულკეთილები ბრძანებულხართ. ძლიერ საინტერესოა რაზე გსურთ ილაპარაკოთ.

უფანხა—იმ უწესოების შესახებ, რომელიც თქვენ ქალაქში ხდება.

თავი—(გაჯავრებით) ბიჭოს! როგორ ბედვით! რა თავს იგდებთ! რა უწესობა, რის უწესობაა?!

უფანხა—პირველი: სად არის წყალი? თავი—რიონში.

უფანხა—(იცინის) ყოჩაღ! შენი თავის ასეთ პასუხს ვერ მოიგონებდა. რიონი რომ წყალია ყველამ იცის. მე შენს ხეებს სად არის ის წყალი, რომელიც ახ ხახა გამშრალ ქუთათურებისთვის მოსაკლავათ.

ლალიძის ზავოდში!
...ოჰ! შენი გოგრის ქირიმე. (არტს) რა პასუხია! ლალიძის

ზავოდში ტკბილი წყალი ყოფილა. მართლა, შეიძლება ამ წყლის გაყვანას აპირებთ მიღებით ქუჩების მოსარწყავათ?

თავი—რატომაც არა, თუ კი ფულები გვექნება? ლალიძის წყალით რომ ქუჩები მოვრწყოთ; მაშინ ქუთაისში ჩამოსვლას არაფერი ემჯობინება, ისეთი ვანილის სუნი იქნება ქუჩებში, რომ „ბერეგის!“ სასმელათაც ხომ აბა რომელი წყალი შეედრება?

უფანხა—ჭკუის კოლოფო! ჩვენ თითქმის ყველა ქალაქები მოვიარეთ. ვიყავით თფილისში. იქ ქალაქში წყლის მიღებია გაყვანილი, საიდანაც მცხოვრებლებს წმინდა წყალი ეძლევა. აი ასეთ წყალზე გვეკითხებით.

თავი—(შუბლზე თითს მიიდებს) ვაი შენ ჩემო თავო! სულ არ დამავიწყდა. როგორ არა ასეთი წყალი ჩვენც გვაქვს.

უფავუბა—(ერთათ) სტყუი! სტყუი!

უფანხა—დიახაც რომ სტყუის! აბა სად არის ასეთი წყალი? მთელი დღეა ხახა გამშრალი დავხეტებით და ვერსად ერთი წვეთი წყალი ვერ ვიშოვეთ. რიონის ბინძურ წყალს აბა ვინ დაღვეს?

თავი—ტყუილათ ჯავრობთ! თუ არ გჯერათ წამობრძანდით ქალაქის სამმართველოში და მე გაჩვენებთ თქვენ, რომ ასეთი წყალი გვაქვს.

უფავუბა—(ერთხმათ) სტყუი! სტყუი! ჩვენ ვიყავით იქ, მარა არავითარი წყალი არ არის. საბრალო მოსამსახურეები ხახა გამშრალნი საზამთროს წვენს ეწაფებოდენ.

თავი—თუ სამმართველოში იყავით, ბატონებო, ალბათ არხივში არ შესულხართ. აი იქ რომ შესულიყავით ძველ ქალაქებში იპოვნიდით წყლის გაყვანის შესახებ პროექტს. ჩვენ დიდი ხანია განვიძრახეთ წყლის გამოყვანა და პროექტიც შევადგინეთ. დიდი ღვაწლი მიგვიძღვის ყველას ამ პროექტის შედგენაზე. თუ წყალი ჯერ ვერ გამოვიყვანეთ, ეგ არაფერი. საქმე პროექტია თორემ წყალს რაღა დაუდგება წინ.

უფანხა—(იცინის) საბრალო ქუთათურებო! ელოდეთ სანამ პროექტს წყალი გამოსდინდება. (თავს) ერთი ეს მითხარით პროექტი ვინ არის?

თავი—პროექტი ქალაქია, რომელზედაც აღწერილია როგორ და საიდან უნდა გამოვიყვანოთ წყალი.

უფანხა—როდის უნდა გამოვიყვანოთ? თავი—როცა ფულები იქნება.

უფანხა—მანამდე წყურვილით უნდა დაიხოცოს ხალხი?

თავი—არა. ეგრე სულელი ნუ გგონივართ. ჩვენ ეს გავითვალისწინეთ, როცა

პროექტს ვადგენდით. სანამ წყალს გამოვიყვანდით გადავწყვიტეთ, რომ ვისამოსწყურდება ლალიძის წყალი დალიოს.

უფანხა—დიდი მოგონებაა სწორეთ ერთი ეს გვითხარი, ეხლა იმდენი ფული ბი არა გაქვთ, რომ წყალი გამოვიყვანოთ?

თავი—ეხლა გვაქვს ფულები, მარა ჩვენ ხომ ჰამა-სმა გვინდა? აღარაფერი აღაგვრება. ამას გარდა კიდევ ქალაქს აუარებელი ხარჯები აქვს. მარტო წყალზე ხომ არ არის საქმე? სხვა უფრო საქმე რაღა არის.

უფანხა—აბა რა? რა გააკეთეთ?

თავი—სატუსალო გავამშვენებრეთ, გვაკეთეთ, ამაზე ფულები დაიხარჯა. პოლიცია გავაძლიერეთ. ამაზე, ფულები დაიხარჯა. უპრავის წევრებმა და მე მუცელი გავისიეთ, —ამაზე ფულები დაიხარჯა. მართალია თეატრი, სამკითხველოები და სხვა ცუდ მდგომარეობაშია დღეს და ვერ შევსძლეთ ამისთვის ფულების გადაღება. მაგრამ სამაგიეროთ სხვა გასართობებზე ბევრი დავგებარჯა; სადილების გამართვა, ქეფი და სხვა ადგილი საქმე ნუ გგონიათ.

უფავუბა—(ერთათ) ყოჩაღ! ყოჩაღ! საბრალო ქუთათურებო!

უფანხა—(წაატანს ნისკარტს ყურში და თავს მოაბრუნებს) აბა იქით გაიხედე. ხედავ რამეს?

თავი (თავს გააქნევს) ნელო! ნისკარტს ნუ მიჭერ. აბა რა უნდა დაინახო იქ როცა მტერის ბული დგას.

უფანხა—მერე რატომ დგას?

თავი—იმიტომ დგას, რომ დგას.

უფანხა—მერე კარგია როცა ასეთი მტერი დგას ქალაქში?

თავი—რასაკვირველია, კარგი არ არის, მაგრამ რა ვქნათ. უნდა მოვითმინოთ.

უფანხა—რატომ ქუჩები არ მოკირწყალეთ.

თავი—ფულები არა გვაქვს.

უფანხა—რატომ არა გაქვთ?

თავი—აღარ გვრჩება.

უფანხა—წყალი რომ გქონდეთ. ხომ მორწყავთ?

თავი—რასაკვირველია, მოვრწყავთ.

უფანხა—მაშ ლალიძის წყლით მორწყეთ.

უფავუბა—(ერთათ) საბრალო ქუთათურებო!

თავი—ტყუილათ სწუხართ. მტერის წინააღმდეგ ჩვენ უკვე მოვიგონეთ საშუალება. საზღვარ-გარეთ შეგუკვეთეთ ახალი მოგონილი „ნამორდნიკები“. ისეთი რა არის რომ მტერი სრულებით არ შეეპირში. მართალია „ბულვარის“ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ ხვეწნა-კოცნას და აღერს

ტათი დაუშლის, მაგრამ ეგ არაფერი, დ მეტი ლაპარაკი მაინც აკრძალულია და ხვევნა-კოცნას სახლებშიაც მოკრძობენ.

ყვავები—(ერთათ) საბრალო ქუთათუბო!

ყვანხაჯა — მე მგონია უმჯობესია „ნამორიკები, თქვენ თვითონ გაიკეთოთ, როცა კარავაში“ სხდომები გაქვთ, რომ ზედტი არ ილაყბოთ.

თავი—(გაჯავრებით თავს გააქნევს) თავს იგდებთ!

ყვავები—(იციინიან) ხა! ხა! ხა! ხა!

ყვანხაჯა — თავო!

თავი—რა გინდა!

ყვანხაჯა — როცა წვიმა მოდის ქუჩები სა გავს?

თავი—მართალი უნდა ვსთქვა დიდი ტაბახი დგება.

ყვანხაჯა—მერე როგორ დადინართ?

თავი—მე ეტლით დავდივარ.

ყვანხაჯა—ვისაც ეტლი არა ყავს?

თავი—ის ფეხით დადის.

ყვანხაჯა—ხომ ჯანჯუხასავით ამოერო ალახში?

თავი—ეგ არაფერი, შეიძლება მეორე დღეს გამოფუნა ტალახი და გასწმინდო ანისამოსი.

ყვანხაჯა —მერე რა მოიგონეთ, რომ ტაბახი არ დადგეს?

თავი—ტალახი რომ არ დადგეს, ამის ინაალმდევ ჯერ არაფერი გვიფიქრია, ხოლო ტალახში რომ არ დაისვარონ ამის ინაალმდევ მაღალ-მაღალი ჯოხები გამოიწერეთ, იმაზე უნდა შედგენ და ისე ბარონ ქუჩებში. საუცხოვოა არა?

ყვავები—(იციინიან) საბრალო ქუთათუბო!

თავი—(გაჯავრებით) ნუ იციინით! დაიშალენით, კმარა!

ყვანხაჯა — თავო!

თავი—რა არის?

ყვანხაჯა—ტრამვაი სად არის?

თავი—კონცესიონერებმა შექამეს.

ყვანხაჯა—პროექტი?

თავი—არხივში არის.

ყვავები—(იციინიან) საბრალო ქუთათუბო!

თავი—(თანდათან ბრაზი მოსდის) ჩუმათ! დაიშალენით! (ყვავები მიაცვივდებიან ზოგი თავში სტემს ნისკარტს, ზოგი ცხვირზე ეწვევა, ზოგი ყურებში. თავი სიმწრით აგან ჯოხს იქნევს და ყვირის)

ყვავები—(ერთხმათ) თავო!

თავი—დაიშალენით! ჩუმათ!

ყვავები—წყალი!

თავი—დაიშალენით! მე თქვენ...

ყვავები —თავო! მტვერი! თავი—ჩუმათ! (ბზრიალასავით ტრიპლებს და ჯოხს იქნევს. ყვავები არ ეშვებიან)

ყვავები—ტალახი!

თავი - დაიშალენით!

ყვავები—ტრამვაი!

თავი—გაროდგოვოოოი! (ამ დროს გაროდგოვოი თოფს გაისერის და თავის საშველათ გამორბის. გულ გახეთქილი თავი გარბის, ყვავები მის ცილინდრს აიტაცებენ და ჰაერში აფრინდებიან).

ირეთელი.

ახალი ამბები.

დღეს ქართველ თავად-აზნაურთა დანგრეულ თეატრში გამოჩენილი მეცნიერი და მუშათა მოძრაობის მკოდნე ს. რ. ვახვანიშვილი წაიკითხავს შემდეგ ლექციას: „საზღაფის მუშათა მოძრაობა დასავლეთ ევროპაში და ჩვენში“. ლექციის მთელი შემოსავალი გადადებულია „კახეთის“ ბოქკების გადასახიდათ.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „კახეთის“ საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ქართველთა სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციას, რადგან მათ სრულიად უფასოთ დაუთმეს კრაოტები და ლოგინები „კახეთის“ შტრიკებზეებს.

როგორც ხმა დადის ამ დღეებში თფილისში შავი ჭირი უნდა მობრძანდეს. მობრძანების მიზეზი ქალაქის სამკურნალო ყოფილა, სადაც ინდოეთიდან გამოქცეულ შავჭირს შეუფარებია თავი. ექიმი თარხანოვი ყოველ დღე ხედავს სადოსტაქრო იარაღებზე შავი ჭირის ბაცილებს და სიხარულით ფეხზე აღარაა. ამბობენ შავი ჭირის მოსვლისათანავე ექიმი ხატისოვი „უბრავს“ თავს დაანებებს და შავ ჭირს ლექციას წაუკითხავს „ნორმალურ დასვენების შესახებ“.

თფილისის საყასბოებში ჭიები გაჩენილა. ჭიები უმეტესათ ხორცს ეხვევა. ხორცის ჩამოსაკიდი ჩანგლები ნაკლებათ არის და სალახები ერთი მეორეს შავ ქოჩორს წითლათ უღებავენ.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ კავკასიის რკინის გზის საავთმყოფოს ადმინისტრაცია ავადმყოფების წინააღმდეგ კონტრ გაფიცვას აპირებს. ადმინისტრაციას უკვე შეუშუშავებია მოთხოვნები:

1. ავთმყოფების ძველებურათ უვარგისი საქმელით კვება, 2. უზრდელათ მოპყრობა. 3. უკანტროლოთ ფულების ფლანგვა და სხვ.

ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში მღვდელ დავით დუმბაძეს დიდებული სადილი გაუმართავს და სამადლობელი პარაკლისი გადაუხდია. სადილის გამართვის მიზეზი ყოფილ. ის, რომ სინოდალურ კანტორიდან ცნობა მიუღია: „ერთგულ მოღვაწეობისთვის“ დეკანოზობა გებოდა. აბა ასეთ სასიხარულო ამბის გამო მოდი და სადილს ნუ გამართავ! ბედნიერია დავითი!

უბედური შემთხვევა.

სწორეთ ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, თუ ყოვლად ბედნიერ თფილისში ასეთი უბედურება დატრიალდებოდა. დაპირებისამებრ აზრათ მქონდა დღესაც თფილისის ბედნიერებაზე დამეწერა, მარა ენა არ შემოაჩილება ამ უბედურ შემთხვევის შემდეგ ბედნიერებაზე კრინტი დავსძრა. მართალია ეხლანდელ დროში ყოვლად ბედნიერი არავინ არის, მაგრამ უბედურებაც არის და უბედურებაც. 16 ივლისის უბედურმა შემთხვევამ მთლათ დაჩრდილა თფილისის ბედნიერება. საქმე ასე მოხდა:

როგორც ნათქვამია „თუ არ გინდა მოახლეო თავი მოიმახლეო“, საბრალო „კახეთის“ საზოგადოებამ თავი არ გაუყადრა თავ-აგდებულ მუშების გაფიცვა-ბოიკოტს და „კეთილ შობილნი“ თფითონვე შეუდგენ „მოახლეობას“. 16 ივლისის რამდენიმე „კეთილშობილთ“ სამი ბოქკა მიუგორებიათ (მიუგორებიათ კი არა დროგით მიუთრევიათ) რკინის გზის სადგურზე. (საბრალონი, ისეთი ხვითქი გადასდიოდათ თურმე, რომ მნახველნი ცოდვით იწოდენ). მიუთრევიათ და იქაურ მუშებისთვის რინით უბრძანებიათ გადმოიღეთო. მუშებს უარი უთქვამთ (ახიბებული მუშები ყოფილან სწორეთ სადგურის მუშები! რა აქვთ ნეტა საერთო მათ ხეთიის“ მუშებთან?). „კეთილშობილნი“ რაღას იზამდენ (ძველი დრო რომ ლიყო მუშებს გაამათრახებდენ) მუშებს შესდგომიან ბოქკების გადმოღებას, დახეთ უბედურებას! აცეტებულ შეაღარ დაუცდიათ მათთვის და თკრეთათ გადმომატარა დროგიდან კვენ კაბოქკები ყოფილა?!), მერე რით, რომ ორივე გახეთქილებთ

და ღვათ სისხლი ქრისტესი, და მიიქცენ მუნ ძმანი „გორკისანი“ და დაუწყეს სვლედა სისხლსა მას ქრისტესა და იხოკდენ თავ-პირს „კეთილშობილნი“ და მიიქცენ უკან სარდაფსა „კახეთისასა“.


კიდევ არაფერი, რომ მარტო ამ უბედურ შემთხვევით გათავებულნი იყოს დღე-ამაზე არა ნაკლები უბედურება დატრი-ალდა ტრამეის ერთ ვაგონზე. ვილაც წვერცამეტა ხუცესს ეყიდნა ერთი ბოჭკა

„კახეთის“ ღვინო (ალბათ მთვარიდან მოსული იყო, თორემ ეცოდინებოდა, რომ „კახეთის“ ღვინოს მარტო „კახეთის“ ამხანაგობის გამგეობა—კომისია ელუნქავს, სხვა არავინ). მოედო ზურგზე და ვაგონის უკანა ბაქანზე შეაგორა. დაინახეს თუ არა იქ მყოფნა, მყისვე აუხსნეს ხუცესს, თუ რაშია იყო საქმე. ხუცესმა ყური არ ათხოვა. შემდეგ ბოჭკას ამოსდეს ჭიტლაყი და ვაგონიდან კო-

ტრიალი უქნეს. ამან ხუცესი გააბრაზა: აღაპყრო ზეცისკენ ხელები და „კახეთის“ გულიანათ წყევლა და ლანძღვა-გინება დაუწყო, მიაგორა ბოჭკა უკანვე და წავიდა თავის გზაზე.

ესთქვი და ვიტყვი, ასეთი უბედური შემთხვევები რომ არ გამოუტყვებოდეს ხან და ხან, თფილისისთანა ბედნიერი ქალაქი მთელ დუნიაზე არ იქნება.

ირეთელი.



ღუშისკამე!..

ათნი არიან
ძმანი არიან
ღუმას მიდიან
მიიმღერიან.
თან მიიქვთ ს:ბან-გობანი
ტახტი და სავარძელია
არაყი, ყველი და პური
და სამოვარი ცხელია.

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი
(მოგონება).

რედაქტორი (თანამშრომელს). სიტყვის თავისუფლებათა და ასე გონიათ ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლება. ერთი ვილაც ტუტუცი იწერება: „თქვენ თავისუფალ ორგანოში, ბ. რედაქტორო, უცვლელათ ეს ამბავი დამიბეჭდეთ“.

თანამშრომელი. რა არის, იქნებ მასალათ გამოდგეს?

რედაქტორი. რა და სისულელე. ყური დაუგდე: „გუშინ წინ, ბ. რედაქტორო, ჩვენი ხუცის ღორი, (ეს ის ხუცესია, რომელმაც ათასხუთასი კაცი ღრამის ფული-ზა მშიერი დასტოვა, კიმბირში გააგზანა), ჩემს ბახჩაში შემოძვრა, რადგანაც დაუუღლავი იყო, პრასა, ნიხური, ქინძი, ხაპი, ნესვი, კინტრი, მიწის ვაშლი, ყოლიფერი გადაჩუჩქნა. გააგებთ შენი გაზეთის საშუალებით ამ ხუცესს, რომ ღორი დაუღლოს. მოციქულათ ასისთავი მიუგზანე, მარა თავზე ხახვი გადაგვაქრა, აბრაგიდელი გადაგვაყარა. მესამე დღეს პოლიცია მოვიდა და გავგზხრიკა. ჯაშუშობას ეწვევა ხუცესი. მოვა დრო და ხალხი გამეიღვიძებს, რეაქცია გაქრება და

მაშინ მოსთხოვს ხალხი ამ ჯაშუშს პსუხს“.

თანამშრომელი. ეს კიდევ არაფერია. შე ყური დაუგდე რა საუცხოვო ლექსე გვწერენ: (კითხულობს ხმა მალლა)

„რეაქციამ დაგვაქცია,
არ დატია ღორი, გოქი.
არც ქათამი, აღარც იხვი,
აღარც ქურში ღვინო, ქაქა,
ამ ამბავმა ყოლი კაცი
შიგ შუა წელში გამოგვქარქა“..

რედაქტორი. გადაგდე, გადაგდე. ჩ რა გადაგდე!..

თანამშრომელი. ხა, ხა, ხა!.. არ მოეწონა? ამისთანა ლექსს თვით შექსპირ ვერ დასწერს. ჩვენი ქვეყანა პოეზიის ქანაა!

რედაქტორი. პოეზია პროზას უსწრე

მირა კარგს იზამდა ის დალოცვილი სხვა რამე მოეწერა.

(შემოდის პროვინციის კორესპოდენტი) ზრფინციის კარესპოდენტი. რედაქტორის ნახვა შეიძლება?

ერთი ასოთ-ამწეობი. ეს გახლავს.

ზრფინ. კარესპოდენტი. თქვენა ბრძანდებით რედაქტორი?

რედაქტორი. დიახ.

ზრფინ. კარესპოდენტი. მე ამას წინეთ დიდი წერილი გამოგიგზავნეთ დასაბეჭდათ. საზოგადოთ ხშირათ გიგზავნით წერილებს. გავგვებიეთ დაიბეჭდება თუ არა. სწორეთ ამიტომ ჩამოვედი პროვინციიდან. მინდოდა გამეგო, რა ბედი ეწვია ჩემს წერილს.

რედაქტორი. რის შესახებ იყო წერილი? ზრფინციის კარესპოდენტი. წერილი მომენტს შეეხებოდა. ოცდა შვიდამდე კორესპოდენცია იყო და ხუთიოდე ლექსიც. ყველა ცალ-ცალკე გამოგიგზავნე და 7 კმარკაც თვითიუღს მოვაყოლე.

რედაქტორი. უკაცრავათ, თქვენ პსევდონიმს აწერდით, თუ თქვენ სახელ და გვარს?..

კარესპოდენტი. მე ვაწერდი: „ჩემი სახელი და გვარი საესებით მოაწერეთ მეთქი“. ერთი კორესპოდენცია დაიბეჭდა, მარა ზედ სახელი და გვარის მაგიერ ინიციალი იყო მოწერილი. რატომ იქცევა ასე თავის ნებაზე რედაქცია?

რედაქტორი. ალბათ თქვენ კორესპოდენციას ინიციალი ეწერა.

კარესპოდენტი. არა, მე კარგათ მახსოვს ეს ასე არ ყოფილა. ყველა გამოგზავნილი წერილების შავი თან მაქვს. თუ გნებავს გიჩვენებთ (იღებს ჯიბიდან დიდ შეკვრა ქაღალდებს და შლის რედაქტორის სტოლზე). აი, ერთი თვის წინეთ ნეკროლოგი გამოგიგზავნეთ. შავი აქა მაქვს. ჯერეც არ დაგიბეჭდიათ.

რედაქტორი. ყველა ნეკროლოგების დაბეჭდვა და საზოგადოთ ყველა წერილებისაც მოუხერხებელია.

კარესპოდენტი. ეს გაზეთი ხომ საზოგადოებას ემსახურება?

რედაქტორი. კი.

კარესპოდენტი. მაშ, ჩვენ საზოგადოების წევრი ვართ და ჩვენი მკვდარი ჩვენ გაზეთში უნდა გვატიროთ.

თანამშრომელი. მკვდარი იტირეთ, მაგრამ გაზეთი რა შუაშია?

კარესპოდენტი. ბატონო, მკვდარი გაზეთის საშუალებით უნდა ვიტვიროთ, ეხლა ასეთი ეპოქა დადგა. წინეთ სხვა ეპოქა იყო, ეხლა სხვა ეპოქაა. თქვენ გაზეთში ტირილსაც აღარ გვანებებთ. რას გავს

ეს! ასეთ რედაქციას ამიერიდან არაფერ მასალას არ მივაწვდი.

ასოთ-ამწეობი. ჩვენ მასალა მოგვეცით და თქვენ მერვე იმუსაიფეთ.

კარესპოდენტი. აი, ასოთ ამწეობები გიცდებათ, მასალა არა გაქვთ და წერილებს კი არ ბეჭდვთ. ეჰ, სიტყვის თავისუფლება მეღირსებოდა და რედაქტორები ცენზორებათ ვადიქცევოდენ არ მეგონა. აი, ერთი კორესპოდენცია მოგიტანეთ. ნახეთ და მიეცით დასაბეჭდათ. (აძლევს რედაქტორს ვებერთელა დაწერილ ქაღალდს).

რედაქტორი. (ათვლიერებს, ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება): ჯერ-ჯერობით ამას ვერ დავბეჭდავთ.

კარესპოდენტი. სახელი და გვარი საესებით მოაწერეთ.

რედაქტორი. თქვენ, ბატონო, ნამეტანი თავისუფლება გყვარებიათ.

კარესპოდენტი. სიტყვის თავისუფლებაც მიტომ მოვიპოეთ.

რედაქტორი. როცა სწვრთ საზოგადოთ, პიროვნებას მოერიდეთ.

კარესპოდენტი. ისეთი პიროვნება, როგორიც იყო ნეკროლოგში საქებია, მარა თქვენ არ გინდათ მკვდარი გაზეთის ფურცლებზე გვატიროთ. მკვდარს კი არა, როცა გთხოვთ საესებით სახელი და გვარის მოწერას, იმასაც იმაღლებით.

რედაქტორი. ბატონო, ყველაფერს გაზეთში ვერ დავბეჭდავთ.

კარესპოდენტი. სიტყვის თავისუფლებაა, ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლება.

თანამშრომელი. თქვენ იწერებით ერთ კორესპოდენციაში: ცხენის წყალში დაიხრა ჯორი, რომელზედაც ფედერალისტი და ანარქისტი ერთათ იჯდაო. ეს ჩვენ ვერ დავბეჭდეთ.

კარესპოდენტი. ამას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

(ამ დროს შემოდის სტამბის ინსპექტორი) სტამ. ინსპექტორი გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი დაიხურა.

რედაქტორი. ბატონო კორესპოდენტო! ეს თქვენი მოპოებული სიტყვის თავისუფლებაა! მომავალში მკვდარი ძველებურათ იტირეთ...
??

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

ქუთაისი. წლებანდელმა აუტანელმა სიტყვებ ქუთათურებს შავი დღე დააყენა. სამაგიეროთ ლალიძე და ამხანაგობას ჯიბეები გაუსქელდა. უწყლოობის გამო ხა-

ხაგამშრალი ქუთათურები, როგორც თაფლს ისე ეტანებიან ლალიძე და თავიანი და უთაო, ფულ უფულო ყველა ყლუნქავს. ამ ბამ ამხანაგობას აზრი მოგვარა ლიმონათის ქარხანა თფილისშია. ნიერია თფილისი! ხოლო რომ მეტი საგები დარჩეთ, ამისთვის ამ დღეებში თაბირი გამართეს; თათბირზე პირველათ სმუშაო დღის საკითხი გაიჩა. კითხვა გვართ დასვეს: „რვა საათის სამუშაო დღე შემოვიღოთ თფილისში ამ თავვე თუ 10 საათის?“ დიდი კამათის დევ შემდეგი რეზოლიუცია გამოიქვეყნებოდა რა მხედველობაში, რომ ამ ბოლო დროს გაფიცვები ვადამდებ სენი მოედვა თფილისს, ამიტომ ჩვენ დასაყრელათ ვსცნობთ ჩვენს ახლად გაღიშონათის ქარხანაში შემოვიღოთ საათის სუშაო დღე, რათა უკეთუ მუშა გავვეფიცენ ათი საათის მეტს ვერ წავვათმევენ და ათი ხომ მაინც ხელში დავრჩება, ამ ნაირათ თავიდან ავიცილოთ არა სასურველ 8 საათის სამუშაო დღე ამ რეზოლიუციის სასტიკი წინააღმდეგობა იყო მარტო ლალიძე, ის დაჟინებოდა 8 საათის სამუშაო დღეს. თვის მას ჯერ კინაღამ სცემეს და შეესამედიატორო სამართალში გამოიწვირით გათავდება ეს საარაკო ამბავი, ლახმა უწყის.

ხათაბაღ

ჭიათურა. ამ დღეებში აქ ერთი უღურება დატრიალდა. ქიქოურაში ფოდლოვების ნოქარმა გრიშა შილაკაძემ ბქო ითამაშა (არ გეგონოთ მარტო ეხთამაშობდეს. ბანქოს თამაში ქეიფის სხვა ამგვარობა გრიშას ხელობაა. კაი მცეკავავე რომაა, ეს თფილისელებსაც ეხსმებათ) ითამაშა ბანქო და ფული წააღეს გრიშას ეწყინა. (რომ მოეგო ყინებოდა. ჯერ სირცხვილი და მერე ლების დაკარგვა საწყენია, რასაკვირველია წააგო და გულ მოსულმა შილაკაძემ წინააღმდეგეს შეჯდა და გვერდები დაზილა. ბანქოს მოთამაშეებმა გადასწყეტეს ამის შემდეგ აღარ მოიგონ შილაძესთან, არამედ წააგონ რათა გვერდები მასაჟს ასცდენ. ჩვენ კი ვურჩევთ გრიშა რა კი კაი მუშტი-კრივი სცოდნია, შეფერი ალაგი მონახოს, რადგან ასე ალაგები ბევრია ეხლა.

სამებელი სტეპ

სოფ. შუქურთი. ყველას ეცოდინებოდა რომ აქ არის მოიჯარადრე ერმილე სთავა (ერმილეს არსებობა თუ არ იცო-



ეცოდინებათ). ერთხელ ამ ერთხელს რატომ ითხოვ შეგნებულ დგოლიდანო? ერთილეს პასუხი არა: „იმიტომ ვითხოვ, რომ შეგნებულები ს-დემოკრატიები არიან ემოკრატიებმა კებნა იციანო“. (ერთხელს დაფიქვებია, რომ ს-დემოკრატიები არის ხორცს არ კამენჯ. ამ მოსაზრებით ერთილეს შეუდგენია ორგანიზაცია შეგნებულ მუშების აღმოსაჩენათ; „ოხ-ანსი ოტდელ.“ უფროსათ აბესალო მუშავა დაუყენებია, ხოლო გამომძიებთათვისი ძმა ტარასი. საქმე ჩქარა დადგროლიათ სწყდება. იჭერენ, ასამარ-ტყენ და ასახლებენ.
გუბელი ციციანთელა.


სოფ. ლანჩხუთი (გურია). აქაურმა „ბარიშნებმა“ და მანდილოსნებმა 12 ამ თვეს გაფიცვა გამოუცხადეს თავიანთ ქმრებს და საქმროებს. წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნები:

1. რვა საათის სამუშაო დღე.
2. შრომის განაწილება (სამხელ ქმარმა უნდა გააკეთოს სადილი კვირაში და სამხელ ცოლმა. ან და თანამშრომლობის ნიადაგზე ქმარმა მჭადი უნდა დააკრას და ცოლმა ლობიო გააკეთოს).
3. დილა საღამოს ჩაი რძით და პურით.
4. ღამე მუშაობის მოსპობა.
5. საღამოობით ბაღში სეირნობა სამი

საათი და რადგან ბალი არ არის, წყლის პირს და კლდე-ღრეებში.

6. ქმრებმა უსათუოთ უნდა იცოდნენ ქრა-კერვა და ბავშვის ძუძუს წოვება, რადგან ქალებს საამისოთ ვერ მოუცლიათ, და სხვა მრავალი. ქმრები ცუდ მდგომარეობაში არიან და არ იციან რა ქნან. ამბობენ ლოკაუტს გამოაცხადებენო. საზოგადოთ ჩვენში ქალების ემანსიპაცია მდევის ნაბიჯით წინ მიდის.

„ვერმიცანი?“



მუშტაიდიდან ერევნის მოედნამდე.

მოკუნაურობა

ალარც აქით, ალარც იქით
ალარ არის გასაქანი...
ზეკით კაცი, გვერდით ქალი—
გესილია სულ ბაქანი!

ვატმანი და კონდუქტორი
მგზავრებს ებრძვის, კრივებს მართავს.

ეგ რკინის გზა თფილისისა
მართლაც არის საქებური...
(თუ წინაღმდეგ რამე გესმათ,
არ დაუგლოთ ქორებს ყური).

თუ ვაგონი იგვიანებს—
მიზეზია მისი სხვაცა...

იმოგზავრებთ...თქვენს გულის თქმას
მტკვრის გუგუნე ეტყვის ბანსა!
და მიადწვეთ წმინდა ჰაერს,
ბალსა მუშტაილოვანსა!

შხეფელი.

ავერ დედა შეილსა ეძებს
იროს მისთქვამს იტეხავს თავს

ვერ გაგქურდავთ მაზე ვერვინ
სწორი არის მიმოსვლაცა,

კონკის გზაზე.

ბედნიერია თფილისი,
გამოიცივალა დრონია;
ბელგიელებმა გამართეს
კონკებზე ელექტრონია;

ასეთი სწრაფი თურგუნი“
ლონდონშიც არის მგონია,
მაგრამ წესრიგი აქა სჯობს
როგორც მე გამიგონია...

იქ რომ კონკაში ჩაჯდები,
დადიხარ მოწყენილია,
გასართობს ვერას შეხვდები
თან მოგინდება ძილია,

აქ კი, თფილისის კონკებზე,
მუდამ თუ არ ხარ ფთხილია,
ჯიბეს მაინც მოგაცლიან
თუ შეგარჩინეს კბილია!..

შეასხდებიან ვაგონზე
მოგზაურები ძალათა;
ზოგსა ჰკილია ხურჯინი,
ზოგს ყურიანი კალათა;

კონდუქტორების მუდარას
არავინ აგდებს ჩალათა,
ძირს ვერავის გადმოაგდებ
თუ რომ ზედ მოიკალათა.

ხანდახან ერთსა ვაგონზე
ორმოცდა ათი კაცია,
ახალგაზრდები, ბებრები,
სულ სხვადასხვაი ნაცია;

შეაში ჯიბგირი შემძვრალა
საათი აუცეცია;
პატრონი ყვირის, ღრიალებს,
თვალეები დაუბრეცია.

ზოგიერთმა კონდუქტორმა
სიტყვა იცის მეტათ მკვახი,
პასაჟირი არ მოუთმენს
(თუ რომ იგიც არის ფახი),

აირევა მონასტერი,
შეიქნება მათი ჯახი;
ზოგს მოხვთება თავში კეტი,
ზოგს კონდახი, ზოგს ნაჯახი.

ვატმანებისა გმირობას
ვერვინ დაუღება წინა,
ძვხავრებს იქ ნება არა აქვთ
არის მათი ბინა)

შესიერებას იცავენ
ში უჭერიათ რკინა
მათი ქება
თაქში მოიფინა).

ზოგ იმათგანს აიციხისაგან
მთლათ აერია დავთარი;
თუ მოუარა ხუშტურმა
გასაქენებლათ მზათ არი;

გარბიან, როგორც ნიშადურ
ამოცხებული თათარი,
მაგრამ მათ კვანჩხვას ვიხილავთ
როცა დადგება ზამთარი.

გურიანთელი.

დ ე ზ ე შ ა.

(საკუთარი კარესზანდენტისაგან).

პატარა ცეიმი. ფილიბე მგელაძე და
და სანატორიუმის ჯორი შერიგდენ. ფი-
ლიბემ გულკეთილობა გამოიჩინა და აპა-
ტია ორჯელ. მიწიხვლა. ეხლა ძლიერ
კარგს განწყობილებაში არიან.

შროშანი.

დ ე ზ ე შ ე ბ ი.

ს ა ა ჭ ა ო.

ბაკურიანი. ამ დღეებში აქ დიდი
უბედურება დატრიალდა. თფილისიდან
აქ ჩამოვიდა დრამატიულთა-დრამატიული
დასი ურუშაძის მეთაურობით. ურუშაძე
თავისუფლების მეტათ მოყვარული კაცი
ყოფილა და პოლიციის ნება დაურთვე-
ლათ გამართა წარმოდგენა. ამას ის შედე-
გი მოყვა, რომ ურუშაძე დააპატიმრეს და
თეატრი დაბეჭდეს. რადგან თეატრს კედ-
ლები არ აქვს, ბეჭედი სახურავზე დააქ-
რეს.

სურამი. სურამის სადგურის ბაქანზე
ამ დღეებში მყრალი სუნის გამო 15 კა-
ცი გარდაიცვალა. სადგური ფეხის ალავს
გავს. ინჟინერი მუატი შეპირდა საზოგა-
დოებას ვეცდები შემდეგში აღარ განმე-
ორდეს ასეთი ამბავიო.

ოზურგეთი. დავით ხუცესი ჯვარ-
მედალზე წარადგინეს და ამ დღეებში მო-
ელის სინოდალურ კანტორიდან. აქაურ-
მა ვაჭრებმა დაადგინეს დააარსონ „კლუ-
ბი. წვერებათ „თანამედროვე მოღვაწეო-
ბაში“ დამსახურებულებს ღებულობენ.

ჭიათურა. ჭიათურის შავი ქვის მ-
მოგებლთა საბჭოს კრებაზე (კრებ-
თურაში იყო) ამ რამდენი
რამდენიმე კაცი
წყვიტა ამ შემე-
კრებები მთვარ

ჯოჯობა

ლამ ერთი უბეო
იქნებოდა სა
პობედონო
ნა. ჯერ
მეორეთ
და ეშმაკე
სათვის ეშმა
გინათ წვეს.

სამოთხე

მოგვადგა ერთ
და იმიტომ მო
მღვდელმთავარ
ლი, ბერ ილიოდო
ლოსთვის თავდადებულ
პასუხი. მაშ შენ უფროს
ხრეს და პობედონოსცევისკე


„შუამავლის“ ფოსტა

გურულ კორესპონდენტებს:

მოსვენეთ დიმიტრია და ნიკოკიე.
სხვა რამეზე.

ყველს კორესპონდენტებს:

პა
ნუ გაავრძელებთ წერილებს.



განცხადებები:

ყვიდი საჩქაროთ კარგ შემო
ათთიაქს, სურვილი მაქ მივყილო
ხალხს, რადგან ისინი ძლიერ
ბიან. პირობაზე ხელს მოვაწერ,
სან სიტყვასაც მივცემ, რომ თუ
ჭირდა, პირობა ისე არ შევშალო
ადამიანის შვილი ვართ. პირობა
მოწერა ადვილია, შესრულების
საჭიროა პატიოსნება და სინდისი
ნასკნელზე მე მწყრალათ განხლავ
ადრესი: დიდი ჯიხაში, ბესარ
კოლოზის ძე ჩომახიძე.

ქართველთა სათავად-აზნაურო
ზიაში ქირავდება მოწაფეების ლო
ქართულ დაწესებულებებს იათათ
მობა. (100

ახეთის საზოგადოებ
იმეთ არის და ბი
მსურველთ შ

ისით:

ის წლის აღენდარი უკრაინის იქნება ისევ ის დარჩება — სივრცის დროს უმყიდველები, ის 25 კაპეტი ორივე აცხადებ, რომ კი კალენდრის კანონი არ გადართავართქილაძე.

(25—1).

ა აცხადებს, რომ კალენდრის კანონი კლივე ღონეს იხმარს, თავართქილაძის კალენდრის გვანოს. ფასი 30 კ. იქნება „სახეში ყავს მყიდველები იგება და გამყიდველები. ამხანაგს თავართქილაძეს, ნება მას გადმობეჭდოს მისი კალენდრი შემდეგი ცნობები: „1908 წელს კომა ოთხშაბათს იქნება, ქათმების ის საბანი წამლები და როგორ უნდა ვგინონ თავდაყირა ფურცლებიანი კალენდარი“.

(5—1)

გამოჩენილი მწერალი ა. ფრონელი (ავტორი „კახეთის ამბობება“-სი) ღებულობს მრავალ მრეწველთაგან მუშების საწივრო წერილების შედგენას. ფასი ათვის ხელ მისაწდომია.

ა აცხადებს საყოველთაოდ, რომ სოფელ ნაწინდაში (დუშ. მახრა) შესდგა ახალი „გუფი“ ჩემის მეთაურობით. „გუფი“ უძლიან ჩაწეროს ყველას განურჩევროვნებისა და წოდებისა, (უფრო ზნაურებს ვლებულობთ). საქირაა აი წვერი სინდისზე და პატრონებაზე თ იყოს და გამოცდილი იყოს კალენდრის ში, (თუმცა ამ უკანასკნელს კი ვითონაც ხელოვნურად ვასწავლი). ჩვენი ზნაია: შევიერთოთ ყველა სათოკეები, მით პირში ქვა ჩაუღვათ თავისუფლის მოტრფიალეთ და სიმართლის მღაებელს, და თუ მთავრობამ გაგვამტ იმ მამულებში, რომელზეც სოფლეკვდავებით, მაშინ ჩვენის ლაშქრის ბით სოფლელებს ძალით წავაროფოების შიში ნურავაქნავს და ზოგსაც ლეები აქვს დახუჭვ ჩემი

მონა-მორჩილია, არც შეიძლება არ იყვეს ისიც ხომ „აზნაურია“, თუმცა ძველი და ისიც „უსაბუთო“

პატივისცემით შ. ყ—გი

ხელის მოწერა მიიღება შემდეგის აღრესით: ს. სტეფანწმინდა, ოხრათ დარჩენილ სადგურის „ობში“ ოთახში, საღამოს 10 საათიდან დილის 4 საათამდე შ. ვაზბეგს.

მეფანდურე.

შანტაუისტების საყურადღებოთ. მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერი თფილისის მოქალაქე მეორე გილდის „კუპეცი“ ტიგრან ზუკუკიანცი ვაცხადებ შანტაუისტების საყურადღებოთ, რომ შემდეგში წერილებს ნულარ მომწერენ. მათი წერილების გამო გულის სიღამბლე შემეჩვიდა და ლამის თან გადამიტანოს. დამრჩენია მხოლოდ ერთი საწყალი სამ მანათიანი და თუ იმის წადებასაც მოისურვებენ, მოვიდენ და წაიღონ და წერილს კი ნუ მომწერენ.

ტიგრან ზუკუკიანცი.

საყურადღებოთ!!

ჩვენი გაზეთი „შუამავალი“ იმ იმედით გამოვიდა, რომ ეკონაპროვინციის აგენტები სხვა გაზეთებსავე არ მოექცეოდა მას. „შუამავალს“ ეკონა (დიდი გულუბრველო ვინმე კი უოფილა ვიღაც შუამავალია) ჩავიდოდა თუ არა პრო-

ვინცაში მიიღებდენ აგენტები გაუიღდენ და ფულს თფილისში გამოგზავნიდენ. „შუამავალს“ ეკონა, ძნა მოსტეუვდა (არ იცოდა საბრალლო, რომ აგენტებისთვის სულ ერთია „შუამავალი“ და სხვა მისი თანამომქეები; ან და რატომ მისაქმდენ მას ასეთ უპირატესობას?) ჯერ კიდევ გულს არ იტენს საბრალლო და მეორეთ გამოდის იმ იმედით, რომ მესამეთ გამოსვლამდე მანც გაიხსენებენ აგენტები.

რედაქტორ-გამომცემელი ს. კეკელიძე.

- შურნალი „შუამავალი“ იხილება:**
- ქუთაისში — ჟურნალ-ვახეთების კანტონა „იმერეთში“ ის. კვიციანიძესთან.
 - ბათუმში — მის. კალანდაძესთან.
 - ფოთში — ლ. ტულუშთან
 - სამტრედიისში — ყ. კობალეიშვილთან.
 - გორში — არჩუაძესთან
 - ჭიათურაში — ვლ. მოსეშვილთან.
 - მისხილოვში — ვგ. შარაძესთან.
 - ლანჩხუთში — შ. ცინცაძესთან.
 - სიღნაღში — უზუნაშვილთან
 - ჩოხატაურში — ნ. მეგრელიშვილთან.
 - ხიდისთავში — ნ. კალანდაძესთან
 - ოზურგეთში — ვ. ლლონტთან.
 - ყვირილაში — ა. გაჩეჩილაძესთან.
- რედაქცია სთხოვს აგენტებს, ყოველ კვირაში გაასწორონ ანგარიში.

ელექტრომბეჭდავი „მ რ მ ა“

აცხადებს, რომ მან მიიღო გენერალ-გუბერნატორისაგან ნება-რთვა **ბეჭდოს გაზეთები და ბროშიურები**, რომელიც აკრძალული ჰქონდა. სტამბა წინანდებურათ შეუდგა მოქმედებას და მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ყოველნაირი მასალების დასაბეჭდად. საქმეს ასრულებს სუფთად და სწრაფად დაკლებულს ფასებში.

ამასთანავე ამხანაგობამ იკისრა 1908 წ. ქართული სახალხო

კედლის კალენდრის

გამოცემა და ამ მოკლე ხანში შეუდგება ბეჭდვას.

კალენდარი საუცხოვოდ შედგენილია: შიგ მოთავსებული იქნება ყოველივე თანამედროვე შესანიშნავი ფაქტები და დაიბეჭდება ორის კრასკით. გამოწერა შეიძლება ამ თავიდან შემდეგის აღრესით: **Тифлисъ, типографіа ва „Трудъ Михайловская № 65.** ვინც ნაღდ ფულზე ან ფას დადებით გამოიღოს, ან ნაკლებ ასი ცალისა და წინდაწინ გამოგზავნის ბეს, დაემობა 15% არტიით მყიდველებს ეთმობათ 10%.